

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №80
2018 წლის 28 დეკემბერი

ქ. ლაგოდები

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილების №2 დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (www.matsne.gov.ge, 18/01/2018, 010250050.35.167.016358).

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

დანართი №2

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	მოხელის თანამდებობათა რანგები	თანამდებობათა დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1	I რანგი	აპარატის უფროსი-საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1500
ადმინისტრაციული განყოფილება				
2	II რანგი	ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი – საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1200
3	III რანგი	რეფერენტი-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	800
4	III რანგი	მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოებისა და საკანცლარიო საკითხების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	800
საორგანიზაციო განყოფილება				
5	II რანგი	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი – საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1200
6	III რანგი	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო საკითხების პირველი	1	800



		კატეგორიის უფროსი სპეციალისტი		
7	III რანგი	ადამიანური რესურსების მართვისა და კომპიუტერული მომსახურების საკითხების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	800

